

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამტელ მედიკალ ფროფერტის

2018 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამბულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “ამტელ მედიკალ ფროფერტის” მფლობელს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს “ამტელ მედიკალ ფროფერტის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე პერიოდის დასრულებული წლებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული პერიოდის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ISAs”). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აპზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა,

საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას
- განვიხილავთ, რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიეუთითოთ

ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

კარინე მარტიროსიანი
რეგისტრირებული აუდიტორი

9 აგვისტო, 2019 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
აქტივები			
კრედიტორიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	70,807	65,974
საინვესტიციო ქონება	5	7,722,206	4,251
არამატერიალური აქტივები		2,191	8,070,362
		<u>7,795,204</u>	<u>8,140,587</u>
ძამონარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		844	1,411
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	41,291	1,311,508
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე		106,700	172,178
		<u>148,835</u>	<u>1,485,097</u>
სულ აქტივები		<u>7,944,039</u>	<u>9,625,684</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	7.1	3,717,484	3,717,484
კაპიტალში კონტრიბუცია	7.2	1,379,100	1,719,854
აგზულებიერებული მოგება/ზარალი		(9,235,130)	(6,987,421)
		<u>(4,138,546)</u>	<u>(1,550,083)</u>
კრედიტორიანი ვალდებულებები			
სესხები	8	11,726,389	11,085,492
		<u>11,726,389</u>	<u>11,085,492</u>
ძამონარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	356,196	90,275
		<u>356,196</u>	<u>90,275</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>7,944,039</u>	<u>9,625,684</u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 9 აგვისტოს:

დანიელ გუგუია
დირექტორი



დანიელ გუგუია
დირექტორი
2019 წლის 9 აგვისტოს 6

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
	შენიშვნა		
შემოსავალი		603,600	603,711
სხვა შემოსავალი		3,301	2,182
მოთიანი მოგება		606,901	605,893
ხელფასის ხარჯი		(312,938)	(312,000)
ცვეთა და ამორტიზაცია		(518,676)	(505,676)
სხვა ხარჯი	10	(218,215)	(205,742)
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან		(442,928)	(417,525)
ფინანსური ხარჯი		(1,351,549)	(1,107,621)
სხვა ფინანსური ერთეულები	11	(453,232)	178,139
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,247,709)	(1,347,007)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/ბენეფიტი		-	-
წლიური ზარალი		(2,247,709)	(1,347,007)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი/ზარალი		-	-
მოთიანი ზარალი საანგარიშგებო წლისთვის		(2,247,709)	(1,347,007)

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017 წელი	3,717,484	2,109,122	(5,640,414)	186,192
წლიური ზარალი	-	-	(1,347,007)	(1,347,007)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(1,347,007)	(1,347,007)
კაპიტალის კონტრიბუციის შემცირება აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშვნა 7.2)	-	(389,268)	-	(389,268)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(389,268)	-	(389,268)
31 დეკემბერი, 2017 წელი	3,717,484	1,719,854	(6,987,421)	(1,550,083)
წლიური ზარალი	-	-	(2,247,709)	(2,247,709)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(2,247,709)	(2,247,709)
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშვნა 7.2)	-	(340,754)	-	(340,754)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(340,754)	-	(340,754)
31 დეკემბერი, 2018 წელი	3,717,484	1,379,100	(9,235,130)	(4,138,546)

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
ზარალი წლის განმავლობაში	(2,247,709)	(1,347,007)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	518,676	505,676
საპროცენტო ხარჯი	1,351,549	1,107,621
საკურსო სხვაობის (მოგება)/ზარალი	453,232	(178,139)
<i>საოპერაციო მოგება კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<u>75,748</u>	<u>88,151</u>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,220,727	631,176
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	567	(26)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	266,083	(303,930)
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>1,563,125</u>	<u>415,371</u>
გადახდილი პროცენტი	(611,918)	-
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>951,207</u>	<u>415,371</u>
<i>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(31,737)	(10,087)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	(92,066)	(607,414)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	159,770
<i>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<u>(123,803)</u>	<u>(457,731)</u>
	-	-
<i>წმინდა ფული მიღებული/(გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში</i>	<u>-</u>	<u>-</u>
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)	827,404	(42,360)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	(892,882)	32,539
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	172,178	181,999
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	<u>106,700</u>	<u>172,178</u>

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “ამტელ მედიკალ ფროფერტის” (“კომპანია”) დაარსდა 2011 წლის 9 ნოემბერს. კომპანია მთლიანად არის ამტელ ჰოლდინგს სინგაპურ პრაივეტ ლიმიტედის (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore) მფლობელობაში.

კომპანიას მფლობელობაში აქვს უძრავი ქონება ისანი-სამგორის რაიონში (თბილისი, საქართველო), რომელიც მიქირავებულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიაზე შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური”.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინანდლის ქუჩა 9, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად გამოშვებული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, თუმცა არის გამონაკლისი განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტების სახით, რომლებიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით არის ასახული.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ერთეულ ლარში.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის (“IFRIC”) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ. ასევე ახალ სტანდარტებს და შესწორებებს რომლებიც ძალაში შევიდნენ 2018 წლიდან, არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ცვლილება ბასს 40 საინვესტიციო ქონება: საინვესტიციო ქონების გადაცემა

ცვლილება განმარტავს გადაცემას, ან ფორმას საინვესტიციო ქონების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა გამოყენების ცვლილებას რომელიც დადასტურებულია მტკიცებულებით. გამოყენების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს ან შეწყვეტს საინვესტიციო ქონების კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. მხოლოდ ცვლილების განსაზღვრა საკმარისი არ არის გადაცემის მხარდასაჭერად.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (“IASB”) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტებთან* დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი, ე.წ. “მოსალოდნელი ზარალის” მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ განმარტებას ჰეჯირების ანგარიშგებასთან მიმართებაში

ფასს 9-ის დანერგვისას, კომპანიამ გამოიყენა გარდამავალი პერიოდის შეღავათი და არ შეცვალა წინა პერიოდების ინფორმაცია. განსხვავება, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, გაზომვასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფასს 9-ის დანერგვამ გავლენა იქონია შემდეგ სფეროებზე:

- კომპანიის იმ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება, რომელსაც კომპანია ფლობს იმ მიზნით, რომ მიიღოს საკონტრაქტო ფულადი ნაკადები.
- ფინანსური აქტივების გაუფასურება სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით. ეს გავლენას ახდენს კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებზე. სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებულ მოდელს, რადგან ამ ერთეულს არ აქვს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტები (იხილეთ შენიშვნა 14 (ბ)).

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 და დაკავშირებული *განმარტებები* ანაცვლებს ბასს 18 *ამონაგებს*, ბასს 11 *საშენებლო კონტრაქტებს* და რეალიზაციასთან დაკავშირებულ რამოდენიმე სხვა ინტერპრეტაციას.

ფასს 15 ის დანერგვას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRIC 22 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა

IFRIC 22 განსაზღვრავს რა გაცვლითი კურსი უნდა იქნეს გამოყენებული ტრანზაქციებისთვის როდესაც გადახდა ხორციელდება ან მიღებულია წინასწარ დაკავშირებულ აქტივთან, ხარჯთან ან შემოსავალთან.

IFRIC 22 მიმართავს ამ საკითხს რათა განმარტოს, რომ იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ კომპანიას აქვს მრავალჯერადი გადახდის ან წინასწარ მიღების ოპერაციები, კომპანიამ ოპერაციის თარიღი უნდა განსაზღვროს ყოველ ასეთი ტრანზაქციისთვის ინდივიდუალურად.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და დანერგილი ადრეულად კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ძალაში შესვლის დღეს, ბასს-ის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები ჯერ არ არის ძალაში და არ არის დანერგილი კომპანიის მიერ.

ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში დანერგილი იქნება ცვლილების ძალაში შესვლის პირველივე პერიოდში. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია რომ შესაბამისი იქნება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისათვის მომავალ პერიოდებში. გამოცემულია აგრეთვე სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციებიც, მაგრამ არ ივარაუდება, რომ მათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მატერიალური გავლენა ექნებათ.

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარი გადახდის უარყოფითი მახასიათებლები

ფასს 9 ის მიხედვით, სასესხო ინსტრუმენტები შეიძლება აღიარებული იქნას ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ პირობით რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის “შხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდა” (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტი კომპანიის მიერ გამოიყენება ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნეს მოდელის ფარგლებში. ფასს 9-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს რომ ფინანსური აქტივი გადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად იმ მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და იმისდა მიუხედავად თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და შედეგი ასახული უნდა იქნას რეტროსპექტიულად. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და დანართებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარეებს დაავალდებულებს იჯარით აღებული აქტივები აღრიცხონ ბალანსში “აქტივის გამოყენების უფლების” სახით და აღიარონ შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 16 აგრეთვე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;

- განსაზღვრავს აღრიცხვის სტანდარტებს აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, შედარებით რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორც არის არა-საიჯარო ელემენტები, განსხვავებული საიჯარო გადახდები და არჩევითი პერიოდები;
- მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივის იჯარებს უზრუნველყოფს გათავისუფლებისგან;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- უცვლელად ტოვებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით დანართებთან დაკავშირებით

ფასს 16 ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ფასს 16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

IFRIC 23 განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის გამოყენებასთან დაკავშირებით

IFRIC 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ აისახება განუსაზღვრელობა ბასს 12-ის შესაბამისად, კონკრეტულად (i) განუსაზღვრელი საგადასახადო მიდგომა ცალკე უნდა განიხილებოდეს, (ii) საგადასახადო ორგანოების ვარაუდები, (iii) განსაზღვრა დასაბეგრი მოგების(ზარალის), საგადასახადო ბაზა, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო ვალის და საგადასახადო განაკვეთების, (iv) და ამ ცვლილებების ფაქტიური ეფექტები და გარემოებები.

IFRIC 23 მოქმედებს წლიური საანგარიშგებო პერიოდებზე 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ. ადრეული განაცხადი დაშვებულია.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)

წლიური გაუმჯობესება 2015-2017 წლების განმავლობაში მცირე რაოდენობით შესწორდა რამდენიმე ფასსი. კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ბასს 12 მოგების გადასახადი: მოგების გადასახადი დაკავშირებული კაპიტალის ელემენტებთან

ბასს 12-ში შეტანილი შესწორებები განმარტავს, რომ დივიდენდების დაბეგვრას მოგების გადასახადით, სხვა მთლიანი შემოსავლის ან სააქციო კაპიტალის მიხედვით, როცა საწყის ეტაპზე პირველად იქნა აღიარებული ეს უკანასკნელი გარიგებები ან მოვლენები.

ბასს 12 მოქმედებს წლიური საანგარიშგებო პერიოდებზე 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ. ადრეული განაცხადი დაშვებულია.

IAS 23 სასესხო ხარჯები: კაპიტალიზებადი სასესხო ხარჯები

IAS 23.14 განსაზღვრავს თუ როგორ განესაზღვროთ კაპიტალიზებადი სასესხო ხარჯები როდესაც საწარმო სესხულობს ფონდებს ზოგადად და იყენებს მას საკვალიფიკაციო აქტივის მისაღებად.

IAS 23 მოითხოვს, საწარმო როდესაც განსაზღვრავს ფონდებს რომლებიც არის ნასესხები ზოგადად, რომ გამოირიცხოს “სესხები აღებული სპეციალურად საკვალიფიკაციო აქტივის მიღებისთვის” აუდიტის საერთაშორისო საბჭოს დაკვირვებით საწარმოს შეუძლია არასწორი ინტერპრეტირება სიტყვების რომელიც გულისხმობს რომ ზოგადად ნასესხები ფონდები გამოირიცხავს მიმდინარე ფონდებს რომლებიც თავდაპირველად ნასესხებია საკვალიფიკაციო აქტივის მისაღებად რომელიც ახლა მზად არის მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

ამიტომ შესწორებები განმარტავს, რომ როდესაც საკვალიფიკაციო აქტივი მზად არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად, საწარმო განიხილავს სესხის მიმდინარე ნაწილის დაკლასიფიცირებულს როგორც საკვალიფიკაციო აქტივის შესაძენად, როგორც ფონდის ნაწილს რომელიც აქვს ნასესხები ზოგადად.

შესწორება ვრცელდება პროსპექტულად (მხოლოდ იმ სესხებზე ხარჯზე რომელიც გაწეულია წლიური რეპორტირების პერიოდის დასაწყისის შემდეგ მას შემდეგ რაც ცვლილება განხორციელდა) ვინაიდან სესხის აღების ხარჯების რეტროსპექტიულად საჭირო ინფორმაციის შეგროვების ხარჯები შეიძლება აღემატებოდეს პოტენციურ სარგებელს.

IAS 23 2019 წლის 1 იანვრის ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდისთვის. აღრეული განაცხადის გამოყენება ნებადართულია.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ტრანზაქციები საანგარიშგებო ვალუტაში გადაიყვანება ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ბალანსის თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს ხოლო 1 ევროსთვის 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და 3.1044 ევრო). არაფულადი მუხლები არ გადაანგარიშდება პერიოდის ბოლო კურსით და აღირიცხება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ვალუტის გადაანგარიშებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

.მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად, ადმინისტრაციული ან სხვა მიზნებისთვის, აღირიცხება ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანის და ინსტალირების ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, სესხებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებად ხარჯებს .

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

- | | |
|------------------------------|--------------|
| ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა | - 2-10 წელი. |
| სხვა აქტივები | - 5-7 წელი. |

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 წლის გაანგარიშებით.

3.4 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნით. საწყის ეტაპზე საინვესტიციო ქონება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით. გარიგების ხარჯები ჩაირთვება საწყის შეფასებაში. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. პირველადი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება.

როცა საინვესტიციო ქონება შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც საინვესტიციო ქონების ცალკეული კომპონენტები.

მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული საინვესტიციო ქონების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და რომელიც აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან

ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები	- 20 წელი.
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	- 5-20 წელი.
დამონტაჟებული შენობასთან ერთად	

საიჯარო შემოსავალი და საოპერაციო ხარჯები საინვესტიციო ქონებიდან აღიარებულია შემოსავლებში და სხვა ხარჯებში რეტროსპექტულად.

3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადის მქონე აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და ისინი ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით. ამორტიზებადი აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეტი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადახდილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუკი ეს აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

3.6 ლიზინგით აღიარებული აქტივები/იჯარა

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების

თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე, მიუხედავად იმისა ხდება თუ არა გარკვეული საიჯარო ვალდებულების გადახდა იჯარის ვადის დაწყებამდე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწევისთანავე.

3.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.8 სესხის ხარჯები

სესხის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება საკვალიფიკაციო აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, კაპიტალიზდება პირდაპირ ამ აქტივის ღირებულებაში. სხვა საკრედიტო ხარჯები აღიარებულია იმ პერიოდის დანახარჯად, როდესაც ისინი წარმოიშვა. კომპანია იწყებს კვალიფიციური აქტივისთვის სასესხო ხარჯების კაპიტალიზაციას იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია პირველად დააკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას: ის გასწევს ხარჯებს აქტივისთვის, მას წარმოექმნება საკრედიტო ხარჯი და იწყებს ისეთ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის მოსამზადებლად მისი გამოყენების ან გაყიდვის მიზნით.

საკრედიტო ხარჯების კაპიტალიზაცია შეჩერებულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როდესაც კომპანიას შეჩერებული აქვს საკვალიფიკაციო აქტივის აქტიური განვითარება. საკრედიტო ხარჯების კაპიტალიზაცია შეწყდება, როდესაც საკვალიფიკაციო აქტივის მიზნობრივად გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებელი ყველა საჭირო ღონისძიება დასრულდება.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).
- რეალური ღირებულება სხვა ყოველისმომცველი შემოსავლის მეშვეობით (FVOCI).

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ ქონია არცერთი ფინანსური აქტივი რომელიც შეფასებული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში (FVTPL) ან სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე გზით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივების მართვის
- სახელშეკრულებო ფულადი სახსრები რომლებიც ახასიათებთ ფინანსურ აქტივებს

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:

- ფინანსური აქტივების მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხრავისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. შეჯამება კომპანიის ფინანსური აქტივების გაკეთორიების მიხედვით მოცემულია მე-13.2 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ აქტივები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს (და არ არის მიზანმიმართულად კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)).

- კომპანია მათ ფლობს ისეთ ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა და მისგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც არის მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ასეთი აქტივები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ფულადი სახსრები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები კლასიფიცირდება ფინანსური აქტივების ამ კატეგორიაში.

წინა ფინანსური აქტივის გაუფასურება IAS 39 მიხედვით

წინა წლის განმავლობაში, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო გაწეული ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნების გაუფასურების შეფასება ხდებოდა, როდესაც სახეზე იყო ვადაგადაცილება ან არსებობდა სხვა ობიექტური მტკიცებულება, რომ კონკრეტული დებიტორისგან მისაღები თანხის ამოღება ვერ მოხდებოდა. მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად გაუფასურებულად არ განიხილებოდა, გაუფასურების ანალიზის მიზნებისათვის ჯგუფდებოდა საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლების მქონე ჯგუფებში და მათი შესაძლო გაუფასურება ამ ჯგუფებისთვის ერთიანად განიხილებოდა. გაუფასურების ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო, თითოეული იდენტიფიცირებული ჯგუფისთვის, ისტორიული გაუფასურების მაჩვენებლების სტატისტიკაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები გაუფასურების ზარალის აღიარებისათვის იყენებს უფრო მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას - “მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს”. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის “გაწეული ზარალის მოდელს”. ახალი მოთხოვნების ფარგლებში შედის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა სესხები და სხვა სესხის ტიპის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI); სავაჭრო მოთხოვნები; ფასს 15-ის ფარგლებში აღიარებული და შეფასებული სახელშეკრულებო აქტივები; სესხის აღების ვალდებულებები და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, რომლებიც არ არიან აღრიცხული რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით.

საკრედიტო დანაკარგების აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ თავდაპირველად ზარალის წარმოქმნილი წარსული მოვლენის დადგენაზე. ამის ნაცვლად, კომპანია საკრედიტო რისკების და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის განიხილავს ინფორმაციის ფართო სპექტრს, მათ შორის წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებს, გონივრულ და დასაბუთებლად პროგნოზებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების მოსალოდნელ ამოღებადობაზე.

სამომავლო მიდგომის გამოყენებისას ერთმანეთისგან განირჩევა:

- ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც არ აღენიშნება საგრძნობლად მნიშვნელოვანი გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ან აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი (“ეტაპი 1”) და
- ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აღენიშნება საგრძნობლად მნიშვნელოვანი გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელთა საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (“ეტაპი 2”)

“ეტაპი 3” დაფარავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საანგარიშო თარიღისთვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები აქვთ.

“12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი” აღიარდება პირველი კატეგორიისთვის, ხოლო მეორე კატეგორიისთვის აღიარდება “მთელ სასიცოცხლო ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები”.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება ხდება ალბათობის მიხედვით შეწონილი საკრედიტო დანაკარგების შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მთელ მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადაზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია ახორციელებს გამარტივებულ მიდგომას ვაჭრობისა და სხვა დებიტორული დავალიანების, აგრეთვე სახელშეკრულებო აქტივებისა და სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვის ჩანაწერების. ეს არის სავარაუდო ნაკლოვანებები საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ნებისმიერ წერტილში გათვალისწინებული პოტენციალის გათვალისწინებით.

იმის გამო, რომ კომპანიის სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები მთლიანად ეკისრება დაკავშირებულ პირს (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირი), კომპანია არ ელოდება რაიმე საკრედიტო ზარალს ამ დებიტორებთან დაკავშირებით. დეტალურად იხილეთ შენიშვნა 6-ში, თუ როგორ გამოიყენება ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ვინაიდან ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა ფასს 9-ს შესაბამისად მეტწილად იგივეა, რაც ბასს 39–ით იყო, ამიტომ ფასს 9-ზე გადასვლას კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა შესაბამისი საბუღალტრო პოლიტიკა მაინც ახსნილია ქვემოთ.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების მიხედვით იხილეთ მე-13.2 შენიშვნაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით, ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სესხებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შესყიდვასთან, აშენებასთან ან შექმნასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც ამ აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით

3.10 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და. ტრანზიტულ ფულად ნაკადებს.

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი ექვივალენტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები, სხვა მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები გამოიყენება მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტს, თუ იგი ადვილად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

კაპიტალში კონტრიბუცია/(კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება) წარმოადგენს აქციონერების დამატებით ინვესტიციას (განაწილებას აქციონერებზე), აქციონერთა სესხების ნომინალური ღირებულებასა და აღიარებისას მათ სამართლიან ღირებულებას შორის არსებული სხვაობით, რომლებიც გაანგარიშებულია მომავალი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

კაპიტალის კონტრიბუციის შემცირება წარმოიშობა როდესაც სესხის პირობები ან გარემოებები განახლდება ისე რომ, ზემოხსენებული განსხვავება თავდაპირველ აღიარებაში შეიცვალა (მაგ: სესხები არის დაფარული დაფარვის ვადამდე), ამიტომ კაპიტალის ადრე აღიარებული კონტრიბუცია მცირდება როგორც განაწილება კაპიტალის მფლობელებზე.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებულია ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეს ცვლილება დაკავშირებული იყო კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ახალ მოდელთან.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს ან წინა პერიოდებში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად ბასს 12-ის მოხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.13 შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან აღიარდება წრფივი მეთოდით შესაბამისი საიჯარო ვადის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი დარიცხულია დროულად, დარჩენილი ძირის და მიღებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითიებით, რომელიც არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონირებს შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში ამ აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებასთან.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
<i>ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2017 წელი	128,250	53,620	181,870
მატება	3,545	6,542	10,087
კლება	(5,104)	-	(5,104)
31 დეკემბერი, 2017	126,691	60,162	186,853
მატება	31,737	-	31,737
31 დეკემბერი, 2018	158,428	60,162	218,590
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
1 იანვარი, 2017 წელი	63,796	31,462	95,258
წლის ცვეთა	18,191	11,209	29,400
გასვლის შედეგად ცვეთის ელიმინირება	(3,779)	-	(3,779)
31 დეკემბერი, 2017 წელი	78,208	42,671	120,879
წლის ცვეთა	15,280	11,624	26,904
31 დეკემბერი, 2018 წელი	93,488	54,295	147,783
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
31 დეკემბერი, 2017 წელი	48,483	17,491	65,974
31 დეკემბერი, 2018 წელი	64,940	5,867	70,807

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ დაგირავებულა სესხების უზრუნველსაყოფად 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის.

5 საინვესტიციო ქონება

ლარი	მიწა	შენობა- ნეგებობები	სულ
<i>ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2017 წელი	953,373	8,721,164	9,674,537
მატება	-	607,414	607,414
კლება	-	(167,418)	(167,418)
31 დეკემბერი, 2017 წელი	953,373	9,161,160	10,114,533
მატება	-	141,556	141,556
31 დეკემბერი, 2018 წელი	953,373	9,302,716	10,256,089
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
1 იანვარი, 2017 წელი	-	1,578,928	1,578,928
წლის ცვეთა	-	474,216	474,216
გასვლის შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	(8,973)	(8,973)
31 დეკემბერი, 2017 წელი	-	2,044,171	2,044,171
წლის ცვეთა	-	489,712	489,712
31 დეკემბერი, 2018 წელი	-	2,533,883	2,533,883
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
31 დეკემბერი, 2017 წელი	953,373	7,116,989	8,070,362
31 დეკემბერი, 2018 წელი	953,373	6,768,833	7,722,206

2018 წელს შენობის ღირებულებაზე დამატებული თანხა მოიცავს 141,556 ლარის სამედიცინო სისტემებს, ლიფტებს და სხვა ტექნიკას, 49,490 ლარის კაპიტალიზირებულ სამშენებლო ხარჯებს და (2017 წელი : 320,402 ლარის სამედიცინო სისტემები, ლიფტები და სხვა აღჭურვილობა, კაპიტალიზირებულ სამშენებლო ხარჯებს 246,870 ლარი და 38,142 ლარის საკრედიტო ხარჯების კაპიტალიზაციას, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით 11.30%

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით საანგარიშგებო თარიღისთვის.

თუ მიწის ნაკვეთი და შენობა აღრიცხული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, საანგარიშო თარიღებისათვის, მათი საანგარიშო თანხები იქნებოდა 10.23 მილიონი ლარი და 15.6 მილიონი ლარი, შესაბამისად (2017 წლის 31 დეკემბერი: 9.52 მილიონი ლარი და 14.6 მილიონი ლარი, შესაბამისად).

წარდგენის თარიღისთვის კომპანიის არცერთი ძირითადი საშუალება არ არის ჩადებული გირაოში.

კომპანიის მთელი ქონება გაცემულია ოპერაციული იჯარით შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველ კლინიკურზე, რომელიც საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა. საიჯარო შემოსავალი კომპანიის ერთდღერთი შემოსავლის წყაროა. პირდაპირი საოპერაციო ხარჯები 368,511 ლარი (2016 წელი: 361,267 ლარი) ანაზღაურდა მოიჯარის მიერ.

. საიჯარო კონტრაქტს ხელი ეწერება ყოველ წელს გადახდილი პირობების მიხედვით.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	-	1,233,845
	-	1,233,845
<i>რაფინანსური აქტივები</i>		
ავანსები და სხვა წინასწარ გადახდილი თანხა	21,702	23,684
სამშენებლო მასალების შესასყიდად წინასწარ გაწეული ხარჯი	103	49,593
სახელმწიფოს ბიუჯეტში წინასწარი გადახდილი თანხები	19,486	4,386
სავაჭრო მოთხოვნები	41,291	1,311,508

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

სავაჭრო დებიტორებზე პროცენტი არ არის დაწესებული. სავაჭრო დებიტორული თანხების ოდენობა მოიცავს მოთხოვნებს დაკავშირებული მხარეებისგან - შპს „ამტელ ჰოსპიტალი პირველი კლინიკური“ (იხ. შენიშვნა 5), საინვესტიციო ქონების საიჯარო ხელშეკრულებით. 2018 წლის განმავლობაში დარჩენილი თანხის მთლიანი ნაწილი იქნა დაფარული დებიტორების მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული წინასწარი გადახდები შემდეგია:

ლარი	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
დამატებული ღირებულების გადასახადი	19,385	4,386
მიწის გადასახადი	101	-
	19,486	4,386

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული წინასწარი გადახდები არის მთლიანად ამოღებადი საგადასახადო კანონმდებლობის სპეციფიკურობის გამო, რადგანაც ის საშუალებას იძლევა საგადასახადო ვალდებულება გაქვითული იყოს წინასწარი გადახდებით, მიუხედავად გადასახადის ტიპისა.

ყველა მოთხოვნა დენომინირებულია ლარში.

7 კაპიტალი და რეზერვები

7.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება აერთი აქციისგან ნომინალური ღირებულებით 3,717,484 ლარი, რომელიც ეკუთვნის ამტელ ჰოლდინგს სინგაპურ პრაივეტ ლიმიტედს (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore).

7.2 კაპიტალში კონტრიბუცია

კომპანიამ მიიღო სესხი თავისი აქციონერისგან. სესხი შედგებოდა რამდენიმე ტრანშისგან. (იხ. შენიშვნა 8). სესხის პირობები ითვალისწინებს, როგორც ძირითად თანხის, ასევე დარიცხული პროცენტის ვადის ბოლოს ანგარიშსწორებას. განსხვავება სესხების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის, განსაზღვრული 12% -იანი დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, აღიარებულ იქნა როგორც კაპიტალში კონტრიბუცია (კაპიტალის ელემენტი).

2018 წელს ახალი ტრანშების მიღება არ განხორციელებულა.

ცვლილება სესხის ხელშეკრულებაში

2017 წლის 15 იანვარს, შევიდა ცვლილება სესხის ხელშეკრულებაში კომპანიას (მსესხებელსა) და მის აქციონერს (გამსესხებელს) - Amtel Holdings Singapore PTE LTD-ს შორის, რომლის თანახმად, სესხის საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 16% დან 12%-მდე წლიურად, და აღნიშნული პირობა ძალაშია სესხის აღების დღიდან. კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა სესხის პირობების ცვლილებების ეფექტი, როგორც მნიშვნელოვანი, და გააკეთა რესტროსპექტული კორექტირებები, კერძოდ სესხის საბანალსო აღიარების შეწყვეტა ცვლილებამდე და ახალი სესხის აღიარება სამართლიანი ღირებულებით, შესწორებული ვადებისა და პირობების შესაბამისად. შეცვლილი პირობებით სესხის სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავება შეცვლილი სესხის პირობებსა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარებული იქნა, როგორც კაპიტალში შენატანის შემცირება (კაპიტალის მფლობელებისთვის განაწილება) (იხილეთ შენიშვნა 8).

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა სესხის პრიცენტის ადრეული დაფარვა 611,918 ლარი, ამრიგად შეიცვალა სესხის ხელშეკრულების შესაბამისად ფულადი სახსრების შემოდინება. სესხის სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავება შეცვლილი სესხის პირობებსა და სესხის ნომინალურ ღირებულებას შორის იქნა აღიარებული როგორც კაპიტალში შენატანის შემცირება (კაპიტალის მფლობელებისთვის განაწილება) (იხილეთ შენიშვნა 8).

8 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხი				
დაკავშირებული მხარისგან	-	-	11,726,389	11,085,492
	-	-	11,726,389	11,085,492

სესხების დაფარვის ვადა არის 2022 წელი. სესხების სამართლიანი ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება დაფუძნებულია 12 % -იან გაანგარიშებაზე დისკონტირებულ ფულად სახსრებზე. (2017 წელი: 12%)

2017 წლის 15 იანვარს სესხის ხელშეკრულებაში ცვლილებას ხელი მოაწერა კომპანიამ (მსესხებელი) და მისმა აქციონერმა (კრედიტორი) - Amtel Holdings Singapore PTE LTD - მა, რომლის მიხედვითაც საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ სესხზე შემცირდა 16% -დან 12%- მდე (წლიური). სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ხელმძღვანელობამ გადაიანგარიშა სესხების სამართლიანი ღირებულება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით 12%-იანი განაკვეთის გამოყენებით.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ადრე გადაიხადა სესხის პროცენტი 611,918 ლარის ოდენობით. კომპანიის მენეჯმენტმა გადაანგარიშებით აიღო სესხის სამართლიანი ღირებულება შეცვლილი პირობებით, ფულადი ნაკადების საფუძველზე, ფასდაკლებით 12%.

სავალუტო კურსის რისკთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 14.

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

		ძირითადი				ხელშეკრულების		ნაშთი 2018 წლის	
		თანხა				განაკვეთი (%)		31 დეკემბრისთვის	
ორიგინალური		ორიგინალურ	ტრანში	სიმწიფე					
ტრანშები	ვალუტა	ვალუტაში	თარიღი	თარიღი	წლიური	ეფექტური	განაკვეთი	ძირი	დარიცხული
									პროცენტი
1	ტრანში 1	აშშ დოლარი	250,000	13-08-2012	10-08-2022	12%	11.27%	635,676	-
2	ტრანში 2	აშშ დოლარი	150,000	12-11-2012	10-08-2022	12%	11.34%	381,506	-
3	ტრანში 3	აშშ დოლარი	100,000	14-12-2012	10-08-2022	12%	11.70%	255,944	-
4	ტრანში 4	აშშ დოლარი	9,000	26-02-2013	10-08-2022	12%	11.34%	22,890	-
5	ტრანში 5	აშშ დოლარი	25,000	16-04-2013	10-08-2022	12%	11.34%	63,585	-
6	ტრანში 6	აშშ დოლარი	210,000	21-05-2013	10-08-2022	12%	11.34%	534,120	-
7	ტრანში 7	აშშ დოლარი	150,000	26-06-2013	10-08-2022	12%	11.34%	362,938	72,957
8	ტრანში 8	აშშ დოლარი	170,000	6-08-2013	10-08-2022	12%	11.34%	340,361	287,031
9	ტრანში 9	აშშ დოლარი	350,000	3-09-2013	10-08-2022	12%	11.35%	703,743	581,873
10	ტრანში 10	აშშ დოლარი	390,000	16-10-2013	10-08-2022	12%	11.31%	789,301	635,795
11	ტრანში 11	აშშ დოლარი	100,000	29-01-2014	10-08-2022	12%	11.26%	205,592	154,381
12	ტრანში 12	აშშ დოლარი	80,000	25-04-2014	10-08-2022	12%	11.27%	166,570	117,233
13	ტრანში 13	აშშ დოლარი	40,000	20-05-2014	10-08-2022	12%	11.29%	83,589	57,630
14	ტრანში 14	აშშ დოლარი	267,000	18-07-2014	10-08-2022	12%	11.30%	562,736	370,550
15	ტრანში 15	აშშ დოლარი	250,000	29-01-2015	10-08-2022	12%	11.24%	541,596	305,615
16	ტრანში 16	აშშ დოლარი	280,000	20-05-2015	10-08-2022	12%	11.28%	615,849	313,566
17	ტრანში 17	აშშ დოლარი	80,000	01-10-2015	10-08-2022	12%	11.35%	179,114	79,474
18	ტრანში 18	აშშ დოლარი	60,000	08-12-2015	10-08-2022	12%	11.32%	135,524	56,282
19	ტრანში 19	აშშ დოლარი	100,000	23-12-2015	10-08-2022	12%	11.25%	226,307	93,304
20	ტრანში 20	აშშ დოლარი	100,000	27-01-2016	10-08-2022	12%	11.23%	227,318	90,519
21	ტრანში 21	აშშ დოლარი	90,000	19-04-2016	10-08-2022	12%	11.26%	206,724	74,617
22	ტრანში 22	აშშ დოლარი	80,000	29-06-2016	10-08-2022	12%	11.24%	185,204	62,063
23	ტრანში 23	აშშ დოლარი	310,000	15-08-2016	10-08-2022	12%	11.27%	722,354	224,958
								8,148,541	3,577,848

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

		ძირითადი თანხა				ხელშეკრულების განაკვეთი (%)	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის		
		ორიგინალური ვალუტა	ორიგინალური ვალუტაში	ტრანში თარიღი	სიმწიფე თარიღი		ეფექტური განაკვეთი	ძირი	დარიცხული პროცენტი
ტრანშები						წლიური			
1	ტრანში 1	აშშ დოლარი	250,000	13-08-2012	10-08-2022	12%	11.29%	459,114	384,693
2	ტრანში 2	აშშ დოლარი	150,000	12-11-2012	10-08-2022	12%	11.33%	278,975	220,486
3	ტრანში 3	აშშ დოლარი	100,000	14-12-2012	10-08-2022	12%	11.52%	186,931	147,835
4	ტრანში 4	აშშ დოლარი	9,000	26-02-2013	10-08-2022	12%	11.28%	17,021	12,534
5	ტრანში 5	აშშ დოლარი	25,000	16-04-2013	10-08-2022	12%	11.31%	47,644	33,694
6	ტრანში 6	აშშ დოლარი	210,000	21-05-2013	10-08-2022	12%	11.30%	402,394	277,651
7	ტრანში 7	აშშ დოლარი	150,000	26-06-2013	10-08-2022	12%	11.28%	289,025	194,439
8	ტრანში 8	აშშ დოლარი	170,000	6-08-2013	10-08-2022	12%	11.34%	329,628	213,110
9	ტრანში 9	აშშ დოლარი	350,000	3-09-2013	10-08-2022	12%	11.35%	681,552	430,508
10	ტრანში 10	აშშ დოლარი	390,000	16-10-2013	10-08-2022	12%	11.31%	764,412	468,842
11	ტრანში 11	აშშ დოლარი	100,000	29-01-2014	10-08-2022	12%	11.26%	199,109	112,566
12	ტრანში 12	აშშ დოლარი	80,000	25-04-2014	10-08-2022	12%	11.27%	161,317	84,370
13	ტრანში 13	აშშ დოლარი	40,000	20-05-2014	10-08-2022	12%	11.29%	80,952	41,277
14	ტრანში 14	აშშ დოლარი	267,000	18-07-2014	10-08-2022	12%	11.30%	544,990	262,757
15	ტრანში 15	აშშ დოლარი	250,000	29-01-2015	10-08-2022	12%	11.24%	524,518	209,146
16	ტრანში 16	აშშ დოლარი	280,000	20-05-2015	10-08-2022	12%	11.28%	596,430	208,113
17	ტრანში 17	აშშ დოლარი	80,000	01-10-2015	10-08-2022	12%	11.35%	173,466	50,212
18	ტრანში 18	აშშ დოლარი	60,000	08-12-2015	10-08-2022	12%	11.32%	131,250	34,718
19	ტრანში 19	აშშ დოლარი	100,000	23-12-2015	10-08-2022	12%	11.25%	219,171	57,577
20	ტრანში 20	აშშ დოლარი	100,000	27-01-2016	10-08-2022	12%	11.23%	220,149	55,125
21	ტრანში 21	აშშ დოლარი	90,000	19-04-2016	10-08-2022	12%	11.26%	200,205	43,378
22	ტრანში 22	აშშ დოლარი	80,000	29-06-2016	10-08-2022	12%	11.24%	179,363	34,760
23	ტრანში 23	აშშ დოლარი	310,000	15-08-2016	10-08-2022	12%	11.27%	699,577	120,508
								<u>7,387,193</u>	<u>3,698,299</u>

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	86,525	77,510
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარეებისგან	260,455	-
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	9,216	12,765
	356,196	90,275

ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მოიცავს შემდეგს:

ლარი	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
საშემოსავლო გადასახადი	175	-
ქონების გადასახადი	3,294	3,384
საგადასახადო ჯარიმები	5,747	9,381
	9,216	12,765

ყველა ვალდებულება დენომინირებულია ლარში.

10 სხვა ხარჯი

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
სარემონტო ხარჯები	76,385	50,435
გადასახადები და ჯარიმები	72,415	73,725
მომსახურების და კონსულტაციის ხარჯი	53,615	60,795
სხვა ხარჯი	15,800	20,787
	218,215	205,742

11 სხვა ფინანსური ერთეულები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
მოგება (ზარალი) საკუროს სხვაობიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(892,882)	32,539
ფინანსური ვალდებულებები აღიარებული ამორტიზირებული ღირებულებით	439,650	145,600
	(453,232)	178,139

12 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასებები და მსჯელობები ეფუძნება ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს, მათ შორის ხელმძღვანელობის მოლოდინებს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მომავალში მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით.

12.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია მომავალში მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს. შედეგად მიღებული საბუღალტრო შეფასებები, განმარტების თანახმად, იშვიათად ემთხვევა რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ვადისაგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადები ხელმძღვანელობის შეფასებებისგან განსხვავებული აღმოჩნდება, მაშინ ფინანსური ანგარიშგებაც შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს.

დისკონტირების განაკვეთები და სესხების რეალური ღირებულება

ხელმძღვანელობამ შეაფასა სესხების სამართლიანი ღირებულება სათანადო ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური სესხებისა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ. შესადარისობა იქმნება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მსესხებლის უზრუნველყოფა, ხანგრძლივობა, ვალუტა, ინდუსტრია და სექტორი.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

13 ფინანსური ინსტრუმენტები

13.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.9-ში.

13.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა 3.9 აღწერს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების თითოეული კატეგორიას და მათთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შემდეგია:

ფინანსური აქტივები

31 დეკემბერი 2018 წელი

	მორტიზებული ლირებულება	სამართლიანი ლირებულება მოგება- ზარალის გავლით	დერივატივები გამოყენებული ჰეჯირებისთვის (FV)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-
საბანკო ანგარიშები	106,700	-	-	106,700
	<u>106,700</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>106,700</u>

ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბერი 2018 წელი

	სხვა ვალდებულებები სამართლიანი ლირებულებით მოგება- ზარალის გავლით	სხვა ვალდებულებები (ამორტიზებული ლირებულება)	სულ
სესხები	-	11,726,389	11,726,389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	86,525	86,525
	<u>-</u>	<u>11,812,914</u>	<u>11,812,914</u>

წინა პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია მოცემული ბასს 39-ით შემდეგნაირია:

ფინანსური აქტივები

31 დეკემბერი
2017 წელი

	გასაყიდა დ გამიზნული (FV)	სავაჭრო დ გამიზნული (FVTPL)	ჰეჯირების თვის გამოყენებული დერივატივები	დაფარვის გადამდე ფლობილი (ამორტიზებული ლირებულება)	შესხები და მოთხოვნები (ამორტიზებული ლირებულება)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	1,233,845	1,233,845
საბანკო ანგარიშები	-	-	-	-	172,178	172,178
	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>1,406,023</u>	<u>1,406,023</u>

ფინანსური კალდებულებები

ლარი	სხვა ვალდებულებები	სხვა ვალდებულებები	
31 დეკემბერი 2017 წელი	სამართლიანი ღირებულებით მოგება- ზარალის გავლით	(ამორტიზებული ღირებულება)	სულ
სესხები	-	11,085,492	11,085,492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	77,510	77,510
	-	11,163,002	11,163,002

14 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. რისკების ძირითადი ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია აქტიურად არ მონაწილეობს ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ქვემოთ მოცემულია კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისა და, კერძოდ, ვალუტის რისკის გამოყენებით, რაც გამოწვეულია როგორც მისი ოპერაციული, ისე საინვესტიციო საქმიანობის შედეგად.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობები.

კომპანიის ოპერაციათა უმეტესობა ხორციელდება ლარით. საკუროსო სხვაობები ძირითადად წარმოშობილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშებით და დაკავშირებული მხარისგან არსებული სესხით აშშ დოლარში. კომპანიას ასევე აქვს სესხი დოლარში, რომელიც გამოიყენება ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები ლარში გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული კურსით:

ერთეული

2018 წლის 31 დეკემბერი

აშშ დოლარი

ფინანსური აქტივები

ფული საბანკო ანგარიშებზე

39,918

39,918

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

11,726,389

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

37,662

11,764,051

წმინდა პოზიცია

(11,724,133)

ერთეული

2017 წლის 31 დეკემბერი

აშშ დოლარი

ფინანსური აქტივები

ფული საბანკო ანგარიშებზე

1,849

1,849

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

11,085,492

11,085,492

წმინდა პოზიცია

(11,083,643)

აღნიშნული ცხრილი ასახავს ლარის დოლარის მიმართ 15%-იან კლება/მატების გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე. 15% (2017: 15%) არის უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ანალიზს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2017: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით (2017: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი

დოლარის გავლენა

2018

2017

მოგება ან ზარალი

1,758,620

1,662,546

სავალუტო კურსის ცვლილებიდან წარმოშობილი რისკის დონე დამოკიდებულია წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე, ამის მიუხედავად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიიჩნევა კომპანიის სავალუტო რისკის მიახლოებით შეფასებად.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ეხება იმ რისკს, რომ კონტრაგენტი ვალდებულებას მიიღებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ფულადი სახსრებისა და ექვივალენტებისა, რომლებსაც ფლობს კომპანია ბანკებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ინდივიდუალურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი ფულად ნაშთებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში ხორციელდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით, და ეს მხოლოდ მთავარ რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული.

კომპანიას არ აქვს სავაჭრო ვალდებულებები, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეებისგან-შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური (იხ. შენიშვნა 5), რომლის მთლიანი ნაშთი გადავიდა 2018 წელს.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ

კომპანია ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებს ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეზო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.31%	
6 თვეზე ნაკლები	86,525	-	86,525
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	19,335,713	19,335,713
	86,525	19,335,713	19,422,238

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.30%	
6 თვეზე ნაკლები	77,510	-	77,510
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	18,726,009	18,726,009
	77,510	18,726,009	18,803,519

ლიკვიდურობის რისკის დასათვლელად და სამართავად კომპანია იყენებს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან, ნაწილობრივ ფულად სახსრებს და საგაჭრო მოთხოვნებს. ფულადი რესურსები და მოთხოვნები აჭარბებს ფულადი გადინების საჭიროებას.

15 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია გეთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 ღონეზე. თითოეული ღონე განხილულია ქვემოთ:

- ღონე 1 –სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- ღონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ ღონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- ღონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღია დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

15.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით რომელთა სამართლიანი ღირებულება გახსნილია

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი ინსტრუმენტების შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. ამ საკითხში

ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემს წარმოადგენს დისკონტირების განაკვეთი. აღნიშნული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებული სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის შესაბამისად 3 დონეზე.

15.2 არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანიის მიწა და შენობები აღრიცხულია თვითღირებულებით, და მათი სამართლიანი ღირებულება წარდგენის თარიღისათვის ნაჩვენებია მე-4 შენიშვნაში. მიწის და შენობების შეფასებული სამართლიანი ღირებულება აღიარებულია სამ დონიანი იერარქიით. ამ აქტივების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული შეფასების გზით. დამატებითი ინფორმაცია შეფასების მეთოდებთან, მნიშვნელოვან დაშვებებთან და ვარაუდებთან დაკავშირებით მოცემულია ქვემოთ.

მიწა

შეფასება განხორციელდა საბაზრო მიდგომის გამოყენებით, რაც ასახავს ბოლო პერიოდში მსგავსი თვისებების მქონე საბაზრო გარიგებების ფასებს და მოიცავს ცვლილებებს მოცემული მიწის სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მიწის ზომის, ადგილმდებარეობის დატვირთვისა და გამოყენების მიზნებზე.

მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ფაქტორები დაკორექტირებულია მიწის სპეციფიკურ ფაქტორებში. ამ კორექტირებების ზომა და მიმართულება დამოკიდებულია მსგავსი თვისებებით დაკვირვებული საბაზრო ოპერაციების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომელიც გამოიყენება როგორც შეფასების საწყისი წერტილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერი სუბიექტურია მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საერთო შეფასება ვერ მოახდენს გავლენას შესაძლო ალტერნატიულ გონივრულ ვარაუდებზე.

შენობები

შენობის რეალური ღირებულება შეფასებულია ზემოთ აღწერილი საბაზრო მიდგომისა და ჩანაცვლების ხარჯების პრინციპის ერთობლიობის გამოყენებით (RCNLD-ჩანაცვლების ახალ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა). ეს უკანასკნელი ასახავს აქტივის მშენებლობის ან სხვა გაუმჯობესების ღირებულებას, რომელსაც აქვს იგივე სარგებელი, მაგრამ შესრულებულია თანამედროვე დიზაინის, საშუალოსა და მასალების გამოყენებით, ასაკის გამო ფუნქციური უსარგებლობის ფაქტორის უგულებელყოფის გათვალისწინებით.

უმნიშვნელოვანესი დაუცველი საშუალებებია სამშენებლო ხარჯების რეგიონალური კორექტირება (ბაზარზე ეფექტური ტარიფები და მომსახურება, სამეწარმეო მოგების პროგნოზები) ამორტიზაციის სავარაუდო ფაქტორი (ფიზიკური, ფუნქციური და ეკონომიკური). საერთო შეფასებები მგრძნობიარეა სამივე ვარაუდისთვის.

16 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებითი კაპიტალი, აკუმულირებული მოგებისგან და სესხებისგან, რომელიც განხილულია შენიშვნა 8-ში.

ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს, იმისთვის, რომ ერთის მხრივ შეინარჩუნოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა და მეორეს მხრივ თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეებს.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
მოლიანი კაპიტალი	(4,138,546)	(1,550,083)
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(106,700)	(172,178)
კაპიტალი	(4,245,246)	(1,722,261)
მოლიანი კაპიტალი	(4,138,546)	(1,550,083)
სესხები	11,726,389	11,085,492
სრული ფინანსირება	7,587,843	9,535,409
კაპიტალის და საერთო დაფინანსების თანაფარდობა	(0.56)	(0.18)

17 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილება კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

ლარი	გრძელვადიანი სესხები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	9,734,203	9,734,203
ფულადი ნაკადები		
გადახდა	-	-
ნაკადების შემოსვლა	-	-
არაფულადი მუხლები		
დარიცხული პროცენტი	1,107,621	1,107,621
სამართლიანი ღირებულება	389,268	389,268
საკურსო სხვაობა	(145,600)	(145,600)
2017 წლის 31 დეკემბერი	11,085,492	11,085,492
ფულადი ნაკადები		
გადახდა	(611,918)	(611,918)
ნაკადების შემოსვლა	-	-
არაფულადი მუხლები		
დარიცხული პროცენტი	1,351,549	1,351,549
სამართლიანი ღირებულება	340,754	340,754
საკურსო სხვაობა	(439,488)	(439,488)
2018 წლის 31 დეკემბერი	11,726,389	11,726,389

18 პირობითი მოვლენები

18.1 ბიზნეს გარემო

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე.

შემდგომი ეკონომიკური განვითარების ძირითადი დაბრკოლება ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონეა, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზის, რეგიონალური არასტაბილურობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

საქართველოსთან თანამშრომლობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია საზღვარგარეთიდან შემოსული ფულის შემცირება, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. სამთო პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, შესაძლოა გამოიწვიოს ქართული ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობა გაუარესება. თუმცა, როგორც ამ გაურკვევლობებში ჩართული ცვალებადებისა და დაშვებების რიცხვი მაღალია, ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს იმ საანგარიშო თანხების საიმედო შეფასებას, რომლის თანახმადაც კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

18.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

19 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეებს მიეკუთვნება მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

19.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100% -იანი მფლობელი არის ამტელ ჰოლდინგს სინგაპურ პრაივეტ ლიმიტედი (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore). კომპანიის მთავარი მაკონტროლებელი პირები არიან ბატონი სუდჰირ გუფთა და ბატონი დანიელ გუფთა.

19.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის ჰქონდა შესაბამისი ნაშთები:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ტრანზაქცია		
მფლობელი		
დარიცხული პროცენტი	1,351,549	1,107,621
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
საიჯარო შემოსავალი	603,600	603,711
ძირითადი მენეჯმენტი		
ხელფასები და სხვა სარგებელი	142,688	67,740
ლარი		
ბალანსები	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მფლობელი		
მიღებული სესხი	11,726,389	11,085,492
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,233,845
მიღებული ავანსები	260,455	-